

ს დ ა ს უ



შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის
უნივერსიტეტი

დამტკიცებულია:

ბარისხის უზრუნველყოფის სამსახური

“___” _____ 2016 წ.

სამართლის სკოლის საბჭოს

დებულება

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის საბჭოს

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მუხლი 1. სამართლის სკოლის სტატუსი

1.1 შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის (შემდგომში: “სდასუ”) სამართლის სკოლა არის სდასუ-ს ძირითადი საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეული, რომელიც აკადემიური თავისუფლებისა და ინსტიტუციური ავტონომიის პირობებში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამებისა და სამეცნიერო კვლევების მეშვეობით უზრუნველყოფს სტუდენტთა მომზადებას სამართლისმცოდნეობის სპეციალობაში და მათთვის სამართლის ბაკალავრის, მაგისტრისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებას.

1.2 სამართლის სკოლა მოქმედებს სდასუ-ს დამფუძნებელთა, რექტორისა და აკადემიური საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებულებისა და აკადემიური ავტონომიურობის პრინციპებზე დაყრდნობით.

მუხლი 2. სკოლის საბჭო

2.1 სდასუ-ს სამართლის სკოლის საბჭო (შემდგომში: “სკოლის საბჭო”) სდასუ-ს ძირითადი საგანმანათლებლო და სტრუქტურული ერთეულის, სამართლის სკოლის წარმომადგენლობითი ორგანოა, რომელიც განახორციელებს სკოლის საერთო მართვას.

2.2 სკოლის საბჭო მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის, უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის მარეგულირებელი საერთაშორისო ხელშეკრულებების, შეთანხმებების, დეკლარაციების კონვენციებისა და კომუნიკეების (მათ შორის, ბოლონიის 1999, პრალის 2001, ბერლინის 2003, ბერგენის 2005 წლების და სხვა), აგრეთვე სდასუ-ს დებულებისა და წინამდებარე დებულების საფუძველზე.

მუხლი 3. სკოლის საბჭოს ძირითადი მიზნები

3.1 სკოლის საბჭოს ძირითადი მიზნებია:

- ა) სტუდენტებისა და სკოლის პერსონალისთვის სათანადო პირობების შექმნა სწავლის, სწავლებისა და სამეცნიერო კვლევების განხორციელებისთვის; სამართლის დარგში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, მომავალზე ორიენტირებული განათლების მიღების შესაძლებლობის უზრუნველყოფა, სასწავლო და სამეცნიერო მუშაობისთვის პირობების გაუმჯობესებაზე მუდმივად ზრუნვა.
- ბ) ზოგადსამართლებრივი პრინციპების, ფასეულობებისა და ღირებულებების დამკვიდრებისათვის, საზოგადოების დემოკრატიის, სამართლიანობისა და ჰუმანიზმის იდეალებზე ორიენტაციისათვის ხელის შეწყობა, რაც აუცილებელია სამოქალაქო საზოგადოების არსებობისა და განვითარებისათვის;
- გ) პიროვნების ინტერესებისა და შესაძლებლობების შესატყვისი უმაღლესი იურიდიული განათლების მიღების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების მოთხოვნის მუდმივად დაკმაყოფილება;
- დ) პიროვნების ინტელექტუალური პოტენციალის რეალიზება, შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება და თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე და კონკურენტუნარიანი იურიდიული კადრების მომზადება შიდა და საგარეო შრომის ბაზრისთვის, აგრეთვე, ფართო საზოგადოების მოთხოვნათა შესაბამისი თანამედროვე სტანდარტების უმაღლესი იურიდიული განათლების შეთავაზება დაინტერესებული პირებისათვის;
- ე) სახელმწიფოს განვითარებისა და საკუთრივ სდასუ-ს კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად სამართლის დარგში ახალი, მაღალკვალიფიციური სამეცნიერო-აკადემიური პერსონალის მომზადება და გადამზადება, დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევებისთვის პირობების შექმნა;
- ე) სდასუ-ს სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობის წახალისება.

მუხლი 4. სკოლის საბჭოს ამოცანები

4.1 სკოლის საბჭოს ამოცანებია:

- ა) სამართლის დარგში მაღალკვალიფიციური კადრებისა და აკადემიური ლიდერების მომზადება;
- ბ) სამართლებრივი განათლების დამოუკიდებელ კვლევებზე დაფუძნება და სტუდენტებისთვის ისეთი კვალიფიკაციის მინიჭება, რომელსაც ეფექტურად გამოიყენებენ არამარტო საქართველოში, არამედ ქვეყნის გარეთაც;
- გ) სამართლის ეროვნული სისტემისა და ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი ტრადიციების გათვალისწინებით, განათლების ევროპულ სივრცეში ინტეგრაცია და მობილობის გაფართოება;
- დ) სტუდენტებში სამართლის მეცნიერების თანამედროვე შეხედულებების გავრცელება და პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავება, რაც აუცილებელია ნებისმიერი განვითარებული ქვეყნის პრესტიჟულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გასაგრძელებლად ან პროფესიული კარიერის დასაწყებად.

მუხლი 5. სკოლის საბჭოს პრიორიტეტები

5.1 სკოლის საბჭოს საქმიანობის ძირითადი პრიორიტეტებია:

- ა) საზოგადოების სამართლებრივი კულტურის ამაღლება და სამართლებრივ ცოდნაზე დაფუძნებული სახელმწიფოებრივი აზროვნების ჩამოყალიბება;
- ბ) საქართველოში მდემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს დამკვიდრებისთვის, აგრეთვე სახელმწიფოებრივი აღმშენებლობისთვის აუცილებელი, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი სამართლებრივი ბაზის შექმნა (ფორმირება) და მმალკვალიფიციური იურიდიული კადრების მომზადება.
- გ) სტუდენტებში კანონის უზენაესობის პრინციპისადმი პავისცემისა და ერთგულების გრძნობის ჩამოყალიბება, აგრეთვე აქტიური მოქალაქეობრივი პოზიციის გამომუშავება სახელმწიფო ინტერესებისა და ადამიანის უფლებების დაცვისადმი.

მუხლი 6. სკოლის საბჭოს შემადგენლობა

6.1 სკოლის საბჭოს შემადგენლობაში შედის სკოლის აკადემიური პერსონალის ყველა წევრი და სამართლის სკოლის სტუდენტთა თვითმმართველობის ორგანოს მიერ არჩეული წარმომადგენლები, რომელთა რაოდენობა შეადგენს სკოლის აკადემიური პერსონალის ერთ მეოთხედს.

6.1¹იმ შემთხვევაში, თუ აკადემიური პერსონალის რიცხვი 4-ის ჯერადი არ არის, სკოლის საბჭოში სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელთა რაოდენობის განსაზღვრისას დამრგვალება მოხდება სტუდენტების სასარგებლოდ.

6.2 სკოლის აკადემიური პერსონალის წევრად ითვლება სდასუ-ს სამართლის სკოლის აკადემიურ თანამდებობაზე დასაქმებული პირი.

6.3 სკოლის საბჭოში სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლების არჩევის წესი განისაზღვრება სდასუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის დებულებით.

მუხლი 7. სამართლის სკოლის საბჭოს უფლებამოსილება

7.1 სამართლის სკოლის საბჭო:

- ა) განსაზღვრავს სამართლის სკოლის საქმიანობის ძირითად მიზნებს, მიმდინარე ამოცანებსა და საქმიანობის პრიორიტეტებს;
- ბ) შეიმუშავებს წინადადებებს სამართლის სკოლის აუცილებელ ხარჯებთან დაკავშირებით და წარუდგენს სდასუს რექტორს;
- გ) დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს და სდასუ-ს აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს სამართლის სკოლის განვითარების სტრატეგიულ გეგმას, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს;
- დ) დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს სამართლის სკოლის სტრუქტურასა და დებულებას და დასამტკიცებლად წარუდგენს სდასუ-ს აკადემიურ საბჭოს;
- ე) დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს სამართლის **სკოლის**, სკოლის საბჭოს, სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებებს და დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს;

ვ) დეკანის წარდგინებით ღია კენჭიყრით ირჩევს სამართლის სკოლის საბჭოს მდივანს;
ზ) A ისმენს დეკანის ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ, არაუგვიანეს ერთი თვისა ახალი სასწავლო წლის დაწყებიდან ან, საჭიროებისამებრ, ნებისმიერ დროს, სკოლის საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის არანაკლებ 1/2-ის მოთხოვნით;
თ) აკადემიურ საბჭოს წარუდგენს ცნობილ საზოგადო მოღვაწეს ან აღიარებულ მეცნიერს სდასუ-ს საპატიო დოქტორის წოდების მისანიჭებლად.
7.2 ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით და სდასუ-ს დებულებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 8. სკოლის საბჭოს მდივანი

8.1 სკოლის საბჭოს მიერ გაწეული საქმიანობის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას და საქმის წარმოებას ახორციელებს სკოლის საბჭოს მდივანი, რომელიც აირჩევა სკოლის აკადემიური პერსონალიდან, დეკანის წარდგინებით, ღია კენჭიყრით, სკოლის საბჭოს პირველ სხდომაზე.

8.2 სკოლის საბჭოს მდივანი:

- ა) უზრუნველყოფს სკოლის საბჭოს სახელზე შემოსული წერილებისა და დოკუმენტების აღრიცხვა-შენახვას;
- ბ) ამზადებს წერილებისა და საბჭოზე განსახილველი საკითხების პროექტებს;
- გ) ამზადებს სკოლის საბჭოს სხდომებს;
- დ) უზრუნველყოფს დოკუმენტების გამრავლებას;
- ე) აწარმოებს სკოლის საბჭოს არქივს.

მუხლი 9. სკოლის საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა

9.1 სკოლის საბჭოს წევრს უფლებამოსილება შეუწყდება:

- ა) სდასუ-ს აკადემიური თანამდებობიდან გათავისუფლების ან სტუდენტის სტატუსის შეწყვეტისას;
- ბ) სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ, უგზო-უკვლოდ ან გარდაცვლილად ცნობის შემთხვევაში;
- გ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

9.2 სკოლის საბჭოში სტუდენტ

თა თვითმართველობის წარმომადგენლის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, სკოლის საბჭოს წევრი ხდება ის სტუდენტი, რომელმაც არჩევნებში უფლებამოსილებაშეწყვეტილი წევრის შემდეგ ხმების უმეტესი რაოდენობა მოაგროვა. ასეთის არარსებობის შემთხვევაში, სტუდენტური თვითმართველობა აირჩევს ახალ წარმომადგენელს, არაუგვიანეს ერთი თვისა უფლებამოსილების შეწყვეტიდან.

მუხლი 10. სკოლის საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეჩერება

10.1 სკოლის საბჭოს წევრს უფლებამოსილება შეუჩერდება:

- ა) ერთ თვეზე მეტი ხნით სასწავლო ან სამეცნიერო მივლინებაში ყოფნისას;

ბ) ერთ თვეზე მეტი ხნით ავადმყოფობის ან შვებულებაში გასვლის შემთხვევაში;
გ) სხვა გარემოების არსებობისას, რაც შეუძლებლს ხდის მის მონაწილეობას საბჭოს სხდომებში.

10.2 სკოლის საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეჩერების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს სკოლის საბჭო ღია კენჭისყრით, სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობით.

მუხლი 11. სხდომების ჩატარებისა და გადაწყვეტილების მიღების წესი

11.1 სკოლის საბჭოს პირველი სხდომა იმართება სკოლის აკადემიური პერსონალის ახალი შემადგენლობის და სტუდენტური წარმომადგენლების არჩევიდან არაუგვიანეს 14 სამუშაო დღისა.

11.2 სკოლის საბჭო პირველ სხდომაზე ცნობს თავის უფლებამოსილებას და აირჩევს მდივანს.

11.3 სკოლის საბჭოს სხდომები ტარდება საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ სამ თვეში ერთხელ.

11.4 სკოლის საბჭოს სხდომებს თავმჯდომარეობს სამართლის სკოლის დეკანი, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – დეკანის მოადგილე ან სკოლის საბჭოს გადაწყვეტილებით ერთ-ერთი წევრი.

11.5 სკოლის საბჭოს სხდომებს ესწრებიან სკოლის საბჭოს წევრები.

11.5¹ სკოლის დამხმარე (ტექნიკურ) პერსონალს უფლება აქვს დაესწროს სკოლის საბჭოს სხდომებს სათათბირო ხმის უფლებით.

11.5² სხვა, დაინტერესებულ პირთა მხრიდან სკოლის საბჭოს სხდომაზე დასწრების სურვილის შემთხვევაში, მათი დაშვების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს სკოლის საბჭო.

11.6 სკოლის საბჭოს სხდომა გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მასში მონაწილეობს სკოლის საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობა.

11.7 თუ წინამდებარე დებულებით სხვა წესი არ არის დადგენილი, სკოლის საბჭოს გადაწყვეტილებები მიიღება სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობით.

11.8 სკოლის საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეჩერების შემთხვევაში, ამ მუხლის მე-11.6 და მე-11.7 პუნქტებით გათვალისწინებული ხმების რაოდენობა იანგარიშება სკოლის საბჭოს სიითი შემადგენლობიდან უფლებამოსილებაშეჩერებულ წევრთა A რიცხვის გამოკლებით.

11.9 სკოლის საბჭოს სხდომაზე კენჭისყრა არის ღია, გარდა განსაკუთრებული

შემთხვევებისა. ფარული კენჭისყრის ჩატარების საკითხს წინასწარ წყვეტს დეკანი.

მუხლი 12. სკოლის საბჭოს სხდომის ოქმი

12.1 სკოლის საბჭოს წევრთა^A შეკრებისა და სხდომის ჩატარების, აგრეთვე გადაწყვეტილების მიღების ფაქტზე დგება სხდომის ოქმი, რომელსაც ხელს აწერს სკოლის დეკანი (მისი არყოფნის შემთხვევაში - მოადგილე) და სკოლის საბჭოს მდივანი.

12.2 სკოლის საბჭოს სხდომების ოქმები ინახება სკოლის დეკანის მიერ, არანაკლებ 3 წლის განმავლობაში, რის შემდეგ გადაეცემა სდასუ-ს არქივს.

მუხლი 13. სამართლის სკოლის საბჭოს დებულების შემუშავება და ძალაში შესვლა

F

13.1 სამართლის სკოლის საბჭოს დებულება დეკანის წარდგინებით შემუშავდება სკოლის საბჭოს მიერ პირველივე სხდომაზე და წარედგინება აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

13.2 სკოლის საბჭოს დებულება ძალაში შედის სდასუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებისთანავე, რაც დადასტურდება რექტორის ხელმოწერით და მოქმედებს აკადემიური საბჭოს მიერ განსაზღვრული დღიდან.

13.3 სკოლის საბჭოს წინამდებარე დებულების ამოქმედების დღიდან ყოველგვარი ცლილება-დამატებები მასში ძალაში შევა სკოლის საბჭოს მიერ დეკანის წარდგინებით შემუშავებული ცვლილება-დამატებების პროექტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებისა და რექტორის ხელმოწერისთანავე.